

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის  
ტექნიკურად სწორად შევსების  
ინსტრუქცია

თავი I. ძირითადი დებულებები

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის (შემდგომში - „დეკლარაცია“) ტექნიკურად სწორად შევსების ინსტრუქცია წარმოადგენს სახელმძღვანელოს იმ პირთათვის, რომელთაც „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-2 მუხლისა და „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №178 დადგენილების (შემდგომში - „დადგენილება“) შესაბამისად, ეკისრებათ დეკლარაციის შევსების ვალდებულება.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

დეკლარაციის ტექნიკურად სწორად შევსების მიზნებისათვის ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **დეკლარანტი** - პირი, რომელიც ვალდებულია დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის ([www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge)) მეშვეობით წარადგინოს დეკლარაცია;

ბ) **დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემა** - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში - „ბიურო“) მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც დეკლარანტი წარადგენს დეკლარაციას;

გ) **საანგარიშო პერიოდი** - დეკლარაციის შევსების წლის წინა კალენდარული წელი (პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით);

დ) **ოჯახის წევრი** - დეკლარანტის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი;

ე) **მუდმივად მცხოვრები პირი** - დეკლარანტის საცხოვრებელ ფართში მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც დეკლარანტთან გააჩნიათ განსაკუთრებული ურთიერთობა და ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას (შინამეურნეობა), რაც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მოვლა-პატრონობას, ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა მოპოვებას და ამ საშუალებების ოჯახის საკეთილდღეოდ განკარგვა-განაწილებას;

ვ) **დეკლარაციის შევსება** - ნიშნავს დეკლარაციის წარდგენას;

ზ) **მატერიალური შედეგი** - შემოსავალი (მაგ: საანგარიშო პერიოდში საიჯარო ხელშეკრულების შედეგად მიღებული შემოსავალი) ან გასავალი (მაგ: სესხის შემთხვევაში - 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ბანკისთვის დაბრუნებული თანხის (ძირი + პროცენტი) ჯამური ოდენობა, საკრედიტო ბარათისა და ოვერდრაფტის შემთხვევაში - პროცენტი);

თ) **სხვა საწარმო** - საწარმო, რომელშიც აქციებს ან წილს ფლობს საწარმო, რომლის სამეწარმეო საქმიანობაშიც მონაწილეობს თანამდებობის პირი ან/და მისი ოჯახის წევრი.

### **მუხლი 3. დეკლარაციის წარდგენის პირობები**

1. დეკლარაციის წარდგენა ხდება ელექტრონული ფორმით, დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ბიურო.

2. კანონის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის, თანამდებობის პირის ან/და თანამდებობიდან გათავისუფლებული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ბიურო გასცემს დეკლარირების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში შესასვლელ რეკვიზიტებს.

3. პირს დეკლარაციის შევსების ვალდებულების წარმოშობის პირველივე დღიდან დეკლარაციის შევსების ვადის დასრულებამდე, ნებისმიერ დროს შეუძლია დეკლარირების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში შესვლა და დეკლარაციაში შესაბამისი მონაცემების ასახვა. მონაცემების ეტაპობრივად ასახვის დროს არ იკარგება დეკლარირების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში შეტანილი ინფორმაცია. დეკლარაციის შევსების ვალდებულების წარმოშობის ვადის დადგომამდე პირი დეკლარაციის ჩაბარებას ვერ შეძლებს.

4. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მონაცემები შეიტანება მისი შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, შემოსავლები/გასავლები – დეკლარაციის შევსების წლის წინა წლის მდგომარეობით, ხოლო საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიშები ან/და შენატანები, რომელთა განკარგვის უფლებაც აქვს თანამდებობის პირს ან მისი ოჯახის წევრს, – დეკლარაციის შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მონაცემები თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხის შესახებ, რომლის ოდენობაც აღემატება 10 000 ლარს შეიტანება დეკლარაციის შევსების დღის მდგომარეობით.

5. დეკლარაცია ივსება სახელმწიფო ენაზე.

6. პირს, დეკლარაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვაზე პასუხის მიღება შეუძლია ბიუროს ცხელი ხაზისა (ტელ: +995 2192828) და ონლაინ დახმარების მეშვეობით.

### **მუხლი 4. დეკლარაციაში შესატანი მონაცემების/ინფორმაციის მოძიების/გადამოწმების ზოგადი წესი**

დეკლარაციის სრულყოფილად და ეფექტურად შევსების, შემდგომში დეკლარაციების მონიტორინგის შედეგად შესაძლო დარღვევების თავიდან აცილების მიზნით, დეკლარანტი უფლებამოსილია დეკლარაციის წარდგენამდე, დეკლარაციაში შესატანი ინფორმაცია მოიძიოს/გადამოწმოს სახელმწიფოს სხვადასხვა დაწესებულების მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული ბაზებისა და საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებების მეშვეობით, კერძოდ:

ა) ინფორმაცია დეკლარანტის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და დეკლარანტის ოჯახის წევრების შესახებ - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

ბ) ინფორმაცია უძრავი ქონების შესახებ - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზა (napr.gov.ge);

გ) ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მომსახურების სააგენტოს ელექტრონული ბაზა;

დ) ინფორმაცია საბანკო ანგარიშების შესახებ - საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებები;

ე) ინფორმაცია სამეწარმეო საქმიანობის შესახებ - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზა (napr.gov.ge);

ვ) ინფორმაცია ანაზღაურებადი სამუშაოს შესახებ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური;

ზ) ინფორმაცია დეკლარანტის ან მისი ოჯახის წევრების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ნოტარიუსთა პალატა ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებები;

თ) ინფორმაცია სხვა შემოსავლების/გასავლების შესახებ - საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებები.

## **მუხლი 5 დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების რედაქტირების წესი**

დეკლარანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოახდინოს დეკლარაციაში შეტანილი შემდეგი მონაცემების რედაქტირება:

ა) პირადი ნომერი;

ბ) მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ტელეფონის ნომერი;

გ) მობილური ტელეფონის ნომერი და მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი.

## **თავი II. დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მონაცემების ასახვა**

**მუხლი 6. დეკლარაციის პირველი გვერდი - ინფორმაცია დეკლარანტის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ**

დეკლარაციის პირველ გვერდზე, შესაბამის გრაფაში აისახება: დეკლარანტის სახელი, გვარი (დეკლარაციაში სახელი და გვარი იწერება სრულად, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის, ხოლო მისი არქონის შემთხვევაში დაბადების მოწმობის შესაბამისად), პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი

(დეკლარაციაში მუდმივ საცხოვრებლად მიეთითება მისამართი, რომელიც აღინიშნება შემდეგი თანმიმდევრობით: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა, თვითმმართველი ერთეული (თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტი), ქალაქი, სოფელი, დაბა, ქუჩა (გამზირი ან სხვა), შენობის ან/და ბინის ნომერი. თუ დეკლარანტი არ ცხოვრობს რეგისტრაციის მიხედვით, უთითებს ორივე მისამართს, როგორც ფაქტობრივს, ასევე რეგისტრაციის მიხედვით), მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი, სახლის, სამსახურისა და მობილური ტელეფონის ნომერი, სამსახურის მისამართი.

#### **მუხლი 7. დეკლარაციის მეორე გვერდი - ინფორმაცია დეკლარანტის ოჯახის წევრების შესახებ**

დეკლარაციის მეორე გვერდზე, შესაბამის გრაფაში აისახება: დეკლარანტის ოჯახის წევრის (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, გერი, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა; მუდმივად მცხოვრები ნებისმიერი პირი, მიუხედავად მათი რეგისტრაციის ადგილისა) საიდენტიფიკაციო მონაცემები, შემდეგი თანმიმდევრობით: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების ადგილი, რიცხვი, თვე, წელი, დეკლარანტთან ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი.

#### **მუხლი 8. დეკლარაციის მესამე გვერდი - ინფორმაცია უძრავი ქონების შესახებ**

1. დეკლარაციის მესამე გვერდზე აისახება დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება:

- ა) მიწის ნაკვეთი;
- ბ) საცხოვრებელი სახლი;
- გ) ბინა;
- დ) აგარაკი;
- ე) ავტოფარეხი;
- ვ) არასაცხოვრებელი ფართი;
- ზ) სხვა უძრავი ქონება.

2. დეკლარაციის ამ გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: ქონების მესაკუთრის, მათ შორის თანამესაკუთრის სახელი, გვარი; (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სრული საფირმო სახელწოდება), ქონების სახეობა, შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა, გადახდილი საფასურის ოდენობა, ვალუტა, თანასაკუთრების შემთხვევაში, პირის ან მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა პროცენტულ გამოხატულებაში, ქონების ადგილმდებარეობა (მისამართი), საერთო ფართობი.

3. საცხოვრებელი სახლის შემთხვევაში, მიწა და შენობა-ნაგებობა მიეთითება ცალ-ცალკე.

4. ერთი და იგივე სახეობის ორი ან მეტი უძრავი ქონება მიეთითება ცალ-ცალკე.

#### **მუხლი 9. დეკლარაციის მეოთხე გვერდი - ინფორმაცია მოძრავი ქონების შესახებ**

1. დეკლარაციის მეოთხე გვერდზე აისახება დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, რომელთაგან თითოეულის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს, ფასიანი ქაღალდების, საბანკო ანგარიშის ან/და შენატანის და ნაღდი ფულადი თანხის გარდა. მაგალითად:

- ა) ავტომობილი;

- ბ) სხვა სატრანსპორტო საშუალება;
- გ) ავეჯი;
- დ) საყოფაცხოვრებო ტექნიკა;
- ე) ფერწერული ტილო;
- ვ) სამკაული;
- ზ) ცეცხლსასრლი იარაღი;
- თ) სხვა მოძრავი ნივთი.

2. დეკლარაციის ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: ქონების მესაკუთრის, მათ შორის თანამესაკუთრის სახელი, გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სრული საფირმო სახელწოდება), ქონების სახეობა, შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა, გადახდილი საფასურის ოდენობა, ვალუტა, ქონების დეტალები (მაგ: ავტომობილის შემთხვევაში: მარკა, გამოშვების წელი, სახელმწიფო სერია, ნომერი). თუ ნივთი საერთო წილობრივ საკუთრებაშია დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის წილის ოდენობა პროცენტულ გამოხატულებაში.

3. ერთი და იგივე სახეობის ორი ან მეტი ნივთი მიეთითება ცალ-ცალკე.

#### **მუხლი 10. დეკლარაციის მეხუთე გვერდი - ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების შესახებ**

1. დეკლარაციის მეხუთე გვერდზე აისახება დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები. მაგალითად:

- ა) აქცია;
- ბ) ობლიგაცია;
- გ) ჩეკი;
- დ) თამასუქი;
- ე) სხვა ფასიანი ქაღალდი.

2. ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: ფასიანი ქაღალდის მესაკუთრის სახელი, გვარი; ფასიანი ქაღალდის ემიტენტი (ფასიანი ქაღალდის გამომშვები), სახეობა, შეძენის თარიღი, შეძენის ფორმა, გადახდილი საფასურის ოდენობა, ვალუტა, ნომინალი (ღირებულება, რომელიც მითითებულია ფასიან ქაღალდზე, აქციათა რეესტრის ჩანაწერზე), რაოდენობა.

3. ფასიანი ქაღალდების თაობაზე მონაცემები მიეთითება ყოველი მესაკუთრისათვის ცალ-ცალკე.

#### **მუხლი 11. დეკლარაციის მეექვსე გვერდი - ინფორმაცია საბანკო ანგარიშების შესახებ**

1. დეკლარაციის მეექვსე გვერდზე აისახება საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლება აქვს დეკლარანტს ან მისი ოჯახის წევრს. საბანკო ან/და საკრედიტო დაწესებულებაში არსებული საბანკო ანგარიშები და ანგარიშებზე არსებული ნაშთები, ასევე სხვა ნებისმიერი შენატანები (ანაბარი, დეპოზიტი) შეიტანება დეკლარაციის შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.

2. ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: ანგარიშის ან/და შენატანის განმკარგავი პირის სახელი, გვარი; საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულების დასახელება; ანგარიშის ან/და შენატანის სახეობა (ანაბარი, დეპოზიტი,

მიმდინარე ანგარიშები, რომლებზეც პირს ერიცხება ხელფასი, პენსია, დახმარება); ანგარიშზე ან/და შენატანზე არსებული ნაშთი (კრედიტი(+) ან დებეტი (-));

3. თანხა უნდა მიეთითოს იმ ვალუტაში, რომელ ვალუტაშიც არის გახსნილი ანგარიში.

4. ანგარიშის ან/და შენატანის თაობაზე, მონაცემები მიეთითება ყოველი განმკარგავისათვის ცალ-ცალკე. საკრედიტო ბარათისა და ოვერდრაფტის შემთხვევაში - მიეთითება ნაშთი (საბანკო ან/და საკრედიტო დაწესებულების მონაცემების შესაბამისად).

## **მუხლი 12. დეკლარაციის მეშვიდე გვერდი - ინფორმაცია ნაღდი ფულადი თანხების შესახებ**

1. დეკლარაციის მეშვიდე გვერდზე აისახება დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხა, რომლის ოდენობა აღემატება 10 000 ლარს. დეკლარანტის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხის ოდენობა შეიტანება დეკლარაციის შევსების დღის მდგომარეობით.

2. ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: ფულადი თანხის მესაკუთრის სახელი, გვარი; ფულადი თანხის ოდენობა შესაბამის ვალუტაში, ფულადი თანხის წყარო.

3. სხვადასხვა ვალუტაში ასახული ფულადი თანხა მიეთითება ყოველი მესაკუთრისათვის ცალ-ცალკე.

## **მუხლი 13. დეკლარაციის მერვე გვერდი - ინფორმაცია სამეწარმეო საქმიანობის შესახებ**

1. დეკლარაციის მერვე გვერდზე აისახება საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობა და არაპირდაპირი მონაწილეობა (იმ შემთხვევაშიც, თუკი დეკლარანტი ან/და მისი ოჯახის წევრი, წინა წლის პირველი იანვრიდან დეკლარაციის შევსების დღის ჩათვლით, 1 დღით მაინც იღებდა მონაწილეობას სამეწარმეო საქმიანობაში).

2. სამეწარმეო საქმიანობაში პირდაპირი მონაწილეობისას ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირი და მონაწილეობის ფორმა (ინდივიდუალური მეწარმე, პარტნიორი, აქციონერი, კომანდიტი, კომპლემენტარი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, დირექტორი, სხვაგვარი მონაწილეობა), პარტნიორების სახელები და გვარები (იურიდიული პირის შემთხვევაში - სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი), საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი, მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის თარიღი, წილის პროცენტული ოდენობა, (გარდა სააქციო საზოგადოებისა და ინდივიდუალური მეწარმისა) მონაწილეობის პერიოდი და საწარმოდან წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე (არ აისახება ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, გარდა დირექტორობის ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის შედეგად მიღებული ხელფასისა); პარტნიორები (გარდა სააქციო საზოგადოებისა და ინდივიდუალური მეწარმისა).

3. საწარმოს საქმიანობაში არაპირდაპირი მონაწილეობისას (ძირითადი საწარმოს პირდაპირი მონაწილეობა /მათ შორის აქციებისა და წილის ფლობა/ სხვა საწარმოს საქმიანობაში) სხვა საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, საქმიანობის სახეობა, პარტნიორების სახელი და გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში - სრული საფირმო

სახელწოდება და იურიდიული მისამართი), სხვა საწარმოს კაპიტალში ძირითადი საწარმოს წილის პროცენტული ოდენობა.

4. საწარმოს სრული საფირმო სახელწოდების მითითებისას აღინიშნება საწარმოს დასახელება მისი სარეგისტრაციო მონაცემებისა და წესდების შესაბამისად.

5. ყოველი საწარმოსათვის მონაცემები მიეთითება ცალ-ცალკე.

#### **მუხლი 14. დეკლარაციის მეცხრე გვერდი - ინფორმაცია ანაზღაურებადი სამუშაოს შესახებ**

1. დეკლარაციის მეცხრე გვერდზე აისახება დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის მიერ საქართველოში ან სხვა ქვეყანაში შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა.

2. ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: სამუშაოს შემსრულებლის სახელი, გვარი; სამსახური (სამსახურები), რომელშიც პირს ეკავა ან უკავია თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს საანგარიშო პერიოდში (წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით); თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი; სამუშაოს შესრულებით საანგარიშო პერიოდში (წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) მიღებული შემოსავალი (საშემოსავლო გადასახადის გარეშე), მათ შორის თანამდებობრივი სარგო, პრემია, სახელფასო დანამატები, ფულადი ჯილდო, საკლასო ჩინის დანამატი.

3. თუ დეკლარანტს, მისი ოჯახის წევრს, გასული წლის განმავლობაში ეკავა რამდენიმე თანამდებობა, თითოეული თანამდებობა და შესაბამისად, თითოეული თანამდებობიდან მიღებული შემოსავალი აისახება ცალ-ცალკე.

#### **მუხლი 15. დეკლარაციის მეათე გვერდი - ინფორმაცია დეკლარანტის ან მისი ოჯახის წევრების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ**

1. დეკლარაციის მეათე გვერდზე აისახება საქართველოში ან სხვა ქვეყანაში დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის მიერ წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დადებული ან/და მოქმედი ნებისმიერი ხელშეკრულება (სხვა გვერდებზე ასახული ხელშეკრულებების გარდა), რომლის საგნის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს (მათ შორის წილის მინდობის ხელშეკრულება ღირებულების მიუხედავად). მაგ:

ა) ნასყიდობა;

ბ) გაცვლა;

გ) ჩუქება;

დ) ლიზინგი;

ე) ნარდობა;

ვ) დაზღვევა;

ზ) ქირავნობა;

თ) იჯარა;

ი) სესხი;

კ) საკუთრების მინდობა;

ლ) სხვა ხელშეკრულება.

2. ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: ხელშეკრულებაში მონაწილე პირის ვინაობა, ხელშეკრულების სახეობა, საგანი და მისი

ღირებულება; ხელშეკრულების დადების თარიღი და მისი მოქმედების ვადა, ორგანო, რომელმაც მოახდინა ხელშეკრულების სახელმწიფო რეგისტრაცია ან დამოწმება; საანგარიშო პერიოდში (წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე): შემოსავალი/გასავალი. ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი დაანგარიშდება შემდეგნაირად: სესხის შემთხვევაში - 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ბანკისთვის დაბრუნებული თანხის (ძირი + პროცენტი) ჯამური ოდენობა, საკრედიტო ბარათისა და ოვერდრაფტის შემთხვევაში - პროცენტი.

3. ხელშეკრულების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის აღნიშვნისას უნდა მიეთითოს მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება, დამოწმებისას კი უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი.

4. თუ დადებული ხელშეკრულება არცერთი ოფიციალური ორგანოს მიერ არ არის დარეგისტრირებული (დამოწმებული), მარეგისტრირებელ ორგანოში ჩაიწერება - ზეპირი ხელშეკრულება. ყოველი ხელშეკრულებისათვის მონაცემები მიეთითება ცალ-ცალკე.

### **მუხლი 16. დეკლარაციის მეთერთმეტე გვერდი - ინფორმაცია მიღებული საჩუქრის/საჩუქრების შესახებ**

1. დეკლარაციის მეთერთმეტე გვერდზე აისახება დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში (წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს.

2. ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში თანმიმდევრობით აისახება: საჩუქრის მიმღების სახელი, გვარი; საჩუქრის გადამცემის მიმღებთან კავშირი; საჩუქრის სახეობა და საბაზრო ღირებულება (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი საფირმო სახელწოდება).

3. დეკლარაციის ამ გვერდზე აისახება მხოლოდ ის ნივთი, რომელიც თანამდებობის პირს/მისი ოჯახის წევრს, როგორც კერძო პირს, მიღებული აქვს საკუთრებაში.

4. საჩუქრის გადაცემა-მიღების ყოველი შემთხვევისათვის მონაცემები მიეთითება ცალ-ცალკე.

### **მუხლი 17. დეკლარაციის მეთორმეტე გვერდი - ინფორმაცია სხვა შემოსავლების/გასავლების შესახებ**

1. დეკლარაციის მეთორმეტე გვერდზე აისახება საანგარიშო პერიოდში დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის ნებისმიერი შემოსავალი, რომლის ოდენობა (ღირებულება) თითოეულ შემთხვევაში აღემატება 3 000 ლარს, ან/და გასავალი, რომლის ოდენობა (ღირებულება) თითოეულ შემთხვევაში აღემატება 5 000 ლარს და არ არის მითითებული ამ დეკლარაციის სხვა გვერდზე:

ა) გრანტი;

ბ) ჰონორარი;

გ) ნივთის გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი;

დ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი;

ე) სხვა შემოსავალი,

ვ) ქველმოქმედება;

ზ) სწავლის გადასახადი;



- თ) მკურნალობის ხარჯი;
- ი) ნივთის შეძენისას გაწეული ხარჯი;
- კ) სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯი;
- ლ) სხვა გასავალი.

2. ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: შემოსავლის მიმღების ან/და გასავლის გამცემის სახელი, გვარი; შემოსავლის ან/და გასავლის სახეობა; შემოსავლის ან/და გასავლის ოდენობა (ღირებულება).

3. შემოსავლის ან/და გასავლის თაობაზე მონაცემები მიეთითება ყოველი შემთხვევისათვის ცალ-ცალკე.

### **მუხლი 18. დეკლარაციის მეცამეტე გვერდი - საიდუმლო ინფორმაციის შესახებ**

1. დეკლარაციის მეცამეტე გვერდზე აისახება სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, რომლის საჯაროობა შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამავე გვერდზე, შესაბამის გრაფაში შემდეგი თანმიმდევრობით აისახება: ქონების მესაკუთრე/მფლობელი დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის სახელი, გვარი; ქონების სახეობა (შინაარსი), ან უძრავი-მოდრავი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე; ქონებასთან დეკლარანტის, მისი ოჯახის წევრის კავშირი; ქონების საბაზრო ღირებულება ან/და ოდენობა.

3. ქონების ყოველი სახეობისთვის მონაცემი შეიტანება ცალ-ცალკე.

4. საიდუმლო გრაფაში აისახება ქონება ან შემოსავალი, რომელიც განეკუთვნება სახელმწიფო, სამსახურებრივ ან კომერციულ საიდუმლოებას. საიდუმლო გრაფის შევსებისას უნდა მიეთითოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც ხდება აღნიშნული ინფორმაციის გასაიდუმლოება.